3. "კულტურა სოციალურ კვლევებში"
"Culture in Social Researches"

1. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

სოციალური კვლევების მაგისტრი
MSc Research in Social and Cultural Studies

2. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **ლალი სურმანიძე**

3. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის ***მიზნები*** მოიაზრებს: მაგისტრანტებისთვის კულტურის ფენომენსა და მის გავლენებთან დაკავშირებული მეცნიერული ინფორმაციის მიწოდებას; მეთოდოლოგიური და ემპირიულ-კვლევითი პარადიგმების საბაზისო პრინციპების გაცნობას და მათ გააზრებას პრაქტიკული საქმიანობის კონტექსტში; უახლეს ემპირიულ/კვლევით სტრატეგიათა კრიტიკულ სწავლებას, ფართოდ გამოყენებადი კვლევითი ტექნოლოგიების დაუფლებას სტუდენტთა მიერ; სოციალური კვლევის დაგეგმვისა და დიზაინის ბაზისური პრინციპების, მონაცემთა მოპოვების, მათი სტატისტიკური ანალიზისა და ინტერპრეტაციის სწავლებას, აგრეთვე ანალიტიკური, დისკუსიური, პრეზენტაციისა და სხვა, პრაქტიკული საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია *კონკრეტულ-კვლევითი საქმიანობის სწავლება ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარების საფუძველზე,* შესაბამისად, მაგისტრანტებში შემეცნებითი და გამოყენებითი პლანის ინტერესების, განსხვავებულ ქვეყნებში მიღებულ მონაცემთა ახლებური გააზრებისა და ინტერპრეტაციის აქტუალიზება, მათი დაინტერესება რეალური კვლევებით საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის რეგიონში.

სწავლების შედეგი:

კურსდამთავრებულებს ექნებათ კულტურის ფენომენთან დაკავშირებული აქტუალური თემატიკის **ცოდნა**, რომელიც მოიცავს ამ სფეროსთვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ/ცნებით აპარატს, სოციალურ კვლევასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური პრინციპების კრიტიკულ ანალიზს, ანთროპოლოგიურ თეორიებს, კლასიკურ და თანამედროვე სოციალურ-თეორიულ მიდგომებს, სემიოტიკის თეორიულ და მეთოდოლოგიურ თავისებურებებს, საზოგადოებაში რელიგიის როლისა და კულტურის გამოყენებითი ასპექტების გააზრებას; მათ ექნებათ ინფორმაცია კულტურის ფაქტორის ზემოქმედების კანონზომიერებების, აგრეთვე სოციალური ინსტიტუტების, პიროვნებისა და, ზოგადად, სოციალური ფენომენების კულტურულ-სპეციფიკური ასპექტების შესახებ, სოციალური ცვლილების პროცესთა კულტურულ ვარიაციებზე, მოდერნისა და ტრადიციის ურთიერთმიმართებაზე თანამედროვე პრაქტიკის კონტექსტში.

ამასთანავე, კურსდამთავრებულებს გააზრებული ექნებათ სოციალური კვლევის მეთოდებსა და ანალიზთან დაკავშირებული სპეციალური საკითხები; ექნებათ თანამედროვე მეცნიერებაში აღიარებული, კულტურული მსგავსება/განსხვავებების მრავალფეროვანი (მენტალური, სემიოტიკური, ლინგვისტური და ა.შ.) მახასათებლების, მათი აღმწერი შესაძლებლობების ცოდნა. კურსდამთავრებულებს გააზრებული ექნებათ კვლევის მეთოდოლოგიური პრინციპები, დაუფლებული იქნებიან კვლევის თანამედროვე სტრატეგიებს, ტრადიციულ და უახლეს კვლევით ტექნოლოგიებსა და მეთოდებს, კვლევის დაგეგმვასა და დიზაინს, მოპოვებულ მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას.

კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამომუშავებული ექნებათ უშუალოდ მათი საქმიანობის სპეციფიკით გათვალისწინებული სპეციალური უნარ-ჩვევები: კონკრეტული სფეროს საკვლევად ადეკვატური პრინციპების ანალიზის, საკვლევი საკითხის ფორმალიზების, გამოსაყენებელ მეთოდთა შერჩევის, კვლევით მოპოვებული მასალის მათემატიკური ანალიზისა და SPSS ით დამუშავების ჩვევები; გავარჯიშებული ექნებათ პრობლემური საკითხების იდენტიფიკაციისა და ფართო კონტექსტთან მათი დაკავშირების, კვლევით მოპოვებული მასალის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები; გამომუშავებული ექნებათ ფორმალური, პროფესიული წერილობითი ენა.

მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა კომპეტენციაში შედის სოციალური ცხოვრების განსხვავებულ სფეროთა დინამიკის კვლევა, სოციალური სტრატეგიის დაგეგმვის ხელშეწყობა, ცვალებად გარემოში სოციალურ, მათ შორის, ეთნიკურ, ჯგუფთა უკონფლიქტო თანაარსებობის ხელშემწყობ პრობლემათა ანალიზი, აგრეთვე უზრუნველყოფა რეალისტური და სიღრმისეული ***კონსულტაციებით***.

აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა ცოდნა და უნარ-ჩვევები ღირებული და სასარგებლოა არაკვლევით საქმიანობაშიც (მაგალითად, მენეჯმენტში).

- მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა ***დასაქმების სფეროები:***

- სამთავრობო და კერძო სტრუქტურები, რომელთა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს დინამიკის შესწავლას;

- სპეციალიზებული კვლევითი ორგანიზაციები/ცენტრები (სამთავრობო და არასამთავრობო სექტორები), რომელთა ინტერესი მოიცავს სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ანალიზს კვლევებზე დაყრდნობით (ეკონომიკა, ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი, განათლება, მედიცინა, მასმედია, პოლიტიკა, სამართალი, მომსახურების სფერო და ა.შ.);

- ეთნიკური კონფლიქტების რეგულირებასთან დაკავშირებული სამთავრობო და არასამთავრობო, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციები;

- კულტურისა და კულტურული სპეციფიკის შემსწავლელი სამეცნიერო ორგანიზაციები ან მათი განყოფილებები;

- უმაღლესი სასწავლებლები, სადაც არსებობს კულტურის შემსწავლელი სპეციალობები ან არსებობს მათზე მოთხოვნილება;

- მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ექნება საუკეთესო ბაზა სწავლის დამოუკიდებლად გასაგრძელებლად. კერძოდ, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის როგორც სოციალუ მეცნიერებათა მისთვის საინტერესო სფეროში, ისე კულტურის შემმეცნებელ თუ კულტურის პრობლემებით დაინტერესებულ სამეცნიერო დარგებში.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- პროგრამაში სწავლის უფლება აქვთ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის ხარისხი სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეთნოლოგიის სფეროში, აგრეთვე პროფესიის გამოცვლის მსურველ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის ხარისხი საბუნებისმეტყველო, ზუსტი, ტექნიკური მეცნიერებებისა და მენეჯმენტის სფეროებში (ბიოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, მედიცინა, საინჟინრო ან აპარატურის ტექნიკური სპეციალობები და ა.შ.); გარდა ამისა, პროგრამა ღიაა იმათთვის, ვინც დაინტერესებულია რომელიმე კონკრეტული სფეროს (მასმედია, პოლიტიკა,

საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სამართალი და ა.შ.) კულტურალური ასპექტებით და სწავლის პროცესში გავლილი აქვთ სტატისტიკის სალექციო კურსი.

♦ პროგრამა ასევე ღიაა 2007/8 წლის, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი ბაკალავრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებისთვის, აგრეთვე ხუთწლიანი სწავლების დიპლომის მქონე პირებისთვის. სხვა შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნაა ზემოთადნიშნული სალექციო კურსის გავლის დამადასტურებელი საბუთი დადებით შეფასებასთან ერთად.

დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა მაგისტრატურაში ჩამბარებლის მიერ სავალდებულო არ არის. ასეთი ინფორმაციის არსებობისას სწავლის მსურველს უპირატესობა მიენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მისაღები გამოცდების დადგენილი წესით ჩაბარების შემდეგ რამდენიმე პრეტენდენტს აღმოაჩნდება ზუსტად ერთნაირი შეფასება. ყველა სხვა შემთხვევაში მსურველი ჩაირიცხება მიღებული შეფასების შესაბამისად.

სამუშაო გამოცდილება: არ არის სავალდებულო.

მისაღები გამოცდები: პროგრამაზე ჩასარიცხად მსურველი აბარებს გამოცდას:

♦ ერთიანი საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად სპეციალურად ამ პროგრამისთვის შექმნილი საგამოცდო რიდერის ბაზაზე (რიდერი მიეწოდება);

♦ რომელიმე უცხო ენაში (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული, ერთიანი საუნივერსიტეტო სტანდარტის შესაბამისად);

აუცილებელი წინაპირობები:

♦ არჩეული უცხო ენის B დონეზე ცოდნა.

საგამოცდო საკითხები

1. ემპირიული კვლევის მეთოდები (ზოგადი მიმოხილვა).
2. სოციალური კვლევები და მკვლევრის ღირებულებათა გავლენები.
3. სოციალური ჯგუფის ცნება. ჯგუფების კლასიფიკაცია და სახეები. ჯგუფის დინამიკა.
4. რეფერენტული ჯგუფი და მისი თავისებურებები. სოციალური ფასილიტაცია. სოციალური "სიზარმაცე".
5. ჯგუფის სტრუქტურა: როლი და ლიდერი. ლიდერობის პროცესი.
6. ჯგუფური გადაწყვეტილების მიღება (პოლარიზაცია, ჯგუფური აზროვნება).
7. სოციალური ჯგუფი და ფავორიტიზმი.
8. კომუნიკაცია. კომუნიკაციური სივრცის ცნება. კომუნიკაციის სახეები. მასმედია და ტელევიზია.
9. კონფორმიზმი – ცნება. კონფორმისტული ტიპები. კონფორმიზმი, როგორც კულტურის მახასიათებელი.
10. სტრუქტურა, ჰაბიტუსი, პრაქტიკა.
11. სტერეოტიპები და ჯგუფთა დისკრიმინაციის აღმოცენების პირობები. დისკრიმინაციასთან დაკავშირებული "- იზმები" (რასიზმი, სექსიზმი).
12. ეთნოცენტრიზმი. სტერეოტიპები.
13. ფსიქოლოგიური დაცვის მექანიზმები.

14. ჰოლიზმი და სისტემური მიდგომა სოციალურ მეცნიერებებში.
15. ცნების "კულტურა" ისტორია და განსაზღვრებები.
16. საზოგადოება და კულტურა.
17. კულტურის ტიპოლოგიები.
18. ცნებები და ტერმინები (კულტურა და ცივილიზაცია, იდენტობა, ტრადიცია, კულტურათა ურთიერთქმედება, კულტურული კონფლიქტი, კულტურის დიფუზია, კულტურული შოკი, ასიმილაცია).
19. ადამიანი და ხალხები – კულტურის შესამეცნებელი ობიექტები.
20. დისტანცია, როგორც სოციოკულტურული მახასიათებელი.
21. იდენტობა და კულტურა.
22. ეთნიკურობა და ენა.
23. კულტურული კონტექსტი. კონტექსტის მახასიათებლები. კონტექსტის ტიპები.
24. არავერბალური და ექსპრესიული ქცევა – კულტურული ვარიაციები.
25. კულტურათაშორისო კომუნიკაცია.
26. კულტურა და გლობალიზაცია. გლობალური სამოქალაქო საზოგადოება.
27. ოჯახი და საზოგადოება.
28. კულტურული გლობალიზაციის თანამედროვე ფორმები (ტელეკომუნიკაცია და ენა, რადიო და მუსიკალური ინდუსტრია, კინო, ტელევიზია და ა.შ.); პოპულარული კულტურა და მასკულტურა.

ლიტერატურა:

♦ ჩარკვიანი დ. (2004). ექსპერიმენტული სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი, თავი 6. გვ. 243-275

♦ ფსიქოლოგიის საფუძვლები. (2005). რედ. ი. იმედაძე. "ენა და ლიტერატურა", თბილისი, გვ. 373-387.

♦ ჯ. ფიშმანი. რა არის ეთნიკურობა და როგორ უკავშირდება ის ენას? (ფენომენოლოგიური და სოციოისტორიული განაზრებანი) //თანამედროვე სოციალური თეორია. ქრესტომათია. შემდგ. ი. კაჭკაჭიშვილი, ნ. ლადარია, ლ. მეზვრიშვილი. 2003, ნაწ. II. გვ. 149-182

♦ პ. ბურდიე. სტრუქტურა, ჰაბიტუსი, პრაქტიკა. (წიგნიდან "პრაქტიკული აზრი")// თანამედროვე სოციალური თეორია. ქრესტომათია. შემდგ. ი. კაჭკაჭიშვილი, ნ. ლადარია, ლ. მეზვრიშვილი. 2003, ნაწ. IV გვ. 298-316

♦ ივანე წერეთელი. ქეთევან კაკიტელაშვილი. კულტურა და მოდერნიზაცია. სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის. თბილისი, 2006, თემა I. ძირითადი ცნებები და ტერმინები. (კულტურა და ცივილიზაცია, იდენტობა, ტრადიცია, კულტურათა ურთიერთქმედება, კულტურული კონფლიქტი, კულტურის დიფუზია, კულტურული შოკი, ასიმილაცია). გვ. 3-10; თემა III. გვ. 20-39

♦ მზია წერეთელი. გენდერი – კულტურული და სოციალური კონსტრუქტი. სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის. თბილისი, 2006. თემა 5. ოჯახი და საზოგადოება. გვ. 52-64

♦ მარინა მუსხელიშვილი. სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისთვის. თბილისი, 2006; გვ. 101-109

♦ დავითაშვილი ზ. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. თბილისი, „მეცნიერება “, 2003 წ. გვ. 258-295

♦ სურმანიძე ლ. (2001). ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური საზოგადოებები (თეორიული მოდელები, ემპირიული კვლევები). სახელმძღვანელო სოციალური მეცნიერებ ების მაგისტრანტებისათვის. თბილისი, „ნეკერი“ (საზოგადოება და კულტურა; დისტანცია, როგორც სოციოკულტურული მახასიათებელი; კულტურული კონტექსტი; კულტურათაშორისო კომუნიკაცია; ჰოლიზმი და სისტემური მიდგომა. იდენტობა და კულტურა).

♦ პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებათა ლექსიკონი-ცნობარი. (2004). თბილისი, გამომც. “ლოგოსპრესი”

♦ Мацумото Д. Психология и культура, современные исследования. Санкт-Петербург-Москва 2000; გვ. 73-96

♦ Майерс Д. (2000). Социальная психология. Санкт- Петербург

- **rideri.**

ლიტერატურისა და რიდერისთვის შეგიძლიათ მიმართოთ:

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი:

IV კორპუსი, III სართული, სოციოლოგიის სარესურსო ცენტრი; ტ. 25 08 19.

III კორპუსი, II სართული, ფსიქოლოგიის მიმართულების დეკანატი; ტ. 22 44 69.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ: **მობ. 8-93 379 440**